ვორქშოფი თემაზე:„დიდუბის არეალის კვლევა“

2017 წლის 7, 8 და 9 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა ვორქშოფი თემაზე: „დიდუბის არეალის კვლევა და საპროექტო წინადადებების შემუშავება“.

ვორქშოფი ორგანიზებული იყო სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და ვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის მიერ. მასში მონაწილეობა მიიღეს ვენის ტექნოლოგიური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის და სტუ - ს არქიტექტურის ფაკულტეტის II კურსის მაგისტრანტებმა: ვასილ დოლიძემ, შალვა მახარაძემ და ოთარ მჭედლიშვილმა. მათ ხელმძღვანელობდნენ ავსტრიის მხრიდან ურბანული დიზაინის და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარკუს ტომასელი და საქართველოს მხრიდან პროფესორი ნინო იმნაძე და ასოც. პროფესორი ირაკლი მურღულია.

7 ოქტომბერს ასოც. პროფესორმა ირაკლი მურღულიამ წაიკითხა ლექცია თემაზე: „დიდუბის არეალი: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“, რის შემდეგაც სტუდენტები თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად ადგილზე გასვლით დაათვალიერეს ტერიტორია. 8 ოქტომბერს მამუკა სალუქვაძემ წაიკითხა ლექცია ქ. თბილისის მიწათსარგებლობის საკონკურსო გენგეგმის შესახებ. ლექციის შემდგომ გაიმართა საინტერესო დისკუსი. 9 ოქტომბერს სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები. სამდღიანი ვორქშოფი წარმოადგენს ქალაქგეგმარებითი პროექტის კვლევით ნაწილს, რომელიც ავსტრიელმა სტუდენტებმა უნდა შეასრულონ მიმდინარე სემესტრში. პროექტის საბოლოო სახეს სტუდენტები წარმოადგენენ 2018 წლის მარტში.